№ 40 **სახალხო გაზეთი** № 40

ხუთშაბათი, 24 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ◆—

—◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ **7 მანეთი**, ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც 5 მან. 50 კაპ. ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

**სახალხო გაზეთის კანტორა.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ზ. ს. ს: ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

**კვირას, 27 ივნისს, 1910 წ.**

**კოტე მესხის მონაწილეობით** წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ◄● ექიმი შტოკმანი ●►

იბსენისა, თარგ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გოდერძი, თამარიშვილი, ბ. ნებიერიძე; ბ-ნნი გ. ანაშვილი, კ. მესხი, მეტრეველი, ნარი, ს. პეპანოვი და კ. ხახანაშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი **კ. მესხი.** ადმინისტრატორი **ა. ქიაბერაშვილი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის

ქსენიას ქუჩ., სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ...

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და ხუთშაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მახსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**სოზონლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—211)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფი თვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გამაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ. 6.—372)

## ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

◆ პატარა ცემში ◆

**გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:**

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—20)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** აბასთუმანში **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—7)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

**ავადმყოფთა მიღება** 9½-დან 5 ს.-დე.

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბ: თს გარდა 4—5 ს.

**ორემბოვსკი**—ცხვ., ყელის, ყურისა. 11½—12½ საათ.

**მიკირტუმოვი** მიხტარიანცის ნაცვლად) დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—57)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—3)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—92)

**ექიმი** ბორჯომში **ა. ს. ალადაშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—6.—4

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ვასილ წერეთელი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსხ ქიქოძის სახლი. (0—უ.—211)

**ექიმი მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—153)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი), დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—ჯკ.—74)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი **სვირისა** და **კა'ური** ღვინოები

## ◄ ნაჩიბაძისი ►

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე **№ 13.**

პატივისცემით **ჩაჩიბაია.** (20—გაე—7)

## განცხადებების

◄ **მომკრები აგენტი** ►

## მ. ა. გაუნია

გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში" და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—10)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბ. ა. ნ. ფურცელაძის წერილის შესახებ, რომელიც ამას წინად გაზეთ „ნოვ. რეჩ"-ში იყო დაბეჭდილი და რომლის შინაარსი ჩვენს მკითხველებსაც გავაცანით, ბოლოს ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საკრებულოს „ოფიციოზმა", „ზაკავკაზიემაც" გამოსთქვა თავისი აზრი. მაგრამ რომ არ გამოეთქვა, ის ერჩივნა. რაც უნდა უკმაყოფილონი ვიყვეთ ბ-ნ ფურცელაძის წერილით, მისი უყურადღებოთ დატოვება განსაკუთრებით იმათ მხრივ, ვის წინააღმდეგაც პირდაპირაა მიმართული იგი,ყოვლად შეუძლებელია. გაზ. ზაკავკაზიე" კი მარტო შემდეგის სიტყვებით კმაყოფილდება.

„როგორც გავიგეთ,—სწერს თავად-აზნაურთა საკრებულოს „ოფიციოზი", წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებას მსჯელობა ჰქონია „ნოვ. რეჩ"-ის № 134 დაბეჭდილ ბ-ნ ა. ნ. ფურცელაძის ღია წერილის შესახებ, რომელიც თ-დ ამილახვარ-დავითიშვილისადმი იყო მიმართული. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ა. ნ. ფურცელაძეს, ვიცით, რათაც მიდის ხელმე იგი იერიშებით ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის წინააღმდეგ; ამასთან-ვე ძალია კარგად ვიცით მისი გონებრივი ავლადიდება; ამიტომ ჩვენ სერიოზულ ყურადღებას ვერ მივაქცევთ ეხლანდელ მის იერიშებსაც".

ამის შემდეგ გაზ. „ზაკავკაზიე" გვაუწყებს, რომ თავად-აზნაურთა დეპუტატებმა და წინამძღოლებმა იქონიეს ამის შესახებ მსჯელობა, ბევრი ყალბი ადგილი, კანონების გაუგებრობა და ფაქტების დამახინჯება აღმოაჩინეს, მაგრამ პასუხის ღირსად მაინც არ გახადეს ანტონ ფურცელაძე. ეს კი ვერ გაგვიგია: რაც უნდა შეცდომებით იყოს აღსავსე წერილი, უპასუხოთ მისი დარჩენა მაინც შეუძლებელია. ჩვენც ბევრი რამ არ მოგვწონს ბ-ნ ფურცელაძის წერილში, ბევრი ადგილი პირდაპირ უსიამოვნო გრძნობას გვიღვიძებს გულში, ვხედავთ, რომ იგი წრფელის გულით არ არის დაწერილი, მაგრამ ყველა ეს საბუთს არ გვაძლევს უყურადღებოთ დავტოვოთ იგი. მით უფრო შეუძლებელია ეს იმათ მხრით, ვის წინააღმდეგაც ამდენი ბრალდებებია წამოყენებული. თავად-აზნაურთა საკრებულო ზნეობრივად ვალდებულია ბ. ფურცელაძის მიერ წამოყენებული ბრალდებები, თუ ისინი დაუსაბუთებლად მიაჩნიათ, დაარღვიოს. მედიდურობის სამოსელში გახვევა სიმართლეს ვერ აღადგენს.

# ფინლანდიის კანონ-პროექტი

**სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს მიერ მიღებული.**

(შემდეგი *)

6. ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორისა და სენატის მიერ შემუშავებული წინასწარ განზრახვანი შესახებ პირველი მუხლის პირველ ნაწილში დასახელებულ კანონთა და დადგენილებათა გენერალ-გუბერნატორის საშუალებით შეტანილ უნდა იქმნას მინისტრთა საბჭოში.

7. კანონ-პროექტები, რომელნიც შეეხებიან ფინლანდიის სეიმის განსახილველ საგნებს ანუ რომელნიც ეხებიან სეიმში გატარებულ ადგილობრივ ფინლანდიის კანონებს, სანამ სახელმწიფო საბჭოს ან სახელმწიფო სათათბიროს წარედგინება (ძირ. კან. გამ. 1906 წ. მუხ. 110), მინისტრთა საბჭომ უნდა წინასწარ გააცნოს ფინლანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად. გადაცემა ფინლანდიის სეიმის აზრის გამოსათქმელად სხვა კანონ-პროექტებისა, რომელნიც ფინლანდიას ეხებიან და რომელნიც მინისტრთა საბჭოში არიან წარდგენილნი, თვით მინისტრთა საბჭოსაგანაა დამოკიდებული და სწარმოებს იმავ ვადის დაცვით.

ფინლანდიის შესახები კანონ-პროექტები, რომლებზედაც მინისტრთა საბჭო არ დაეკითხა ფინლანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად, თანახმად სახელმწიფო საბჭოსი ან სახელმწიფო სათათბიროს დადგენილების თანახმად შეიძლება გადაეცეს ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად. ასეთი გადაცემა შეიძლება მოხდეს მხოლოდ, სანამ სახელმწიფო საბჭოს ან სათათბიროს საერთო კრება მიიღებდეს ამ კანონ-პროექტს, აქისდა-მიხედვით, თუ რომელ საკანონმდებლო დაწესებულებაში იქმნა პირველად შეტანილი ეს კანონ-პროექტი (ძირ. კან. გამ. 1906 წ. მუხლ. 110). ამავე წესით გადაეცემა ფინლანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად ფინლანდიის შესახები კანონ-პროექტები, რომელნიც შემუშავებულ არიან სახელმწიფო საბჭოს ან სახელმწიფო სათათბიროს წევრთაგან დაარსებულ კომისიების მიერ. (დააწ. სახელ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 54; დააწ. სახ. სათ., გამ. 1908 წ. მუხ. 57).

კანონ-პროექტები, რომელნიც უნდა გადაეცეს ფინლანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად, თანახმად მინისტრთა საბჭოსი, სახელმწიფო საბჭოს ან სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებათა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ეცნობება სეიმს ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის ხელით. სეიმის აზრი ამ წესით წარდგენილ კანონ-პროექტებზე უნდა გამოითქვას ამ მხრივ ან არა ჩვეულებრივ სესიის განმავლობაში, რომლის განსახილველად ეს კანონ-პროექტები წარედგინა. გამოთქმული აზრი ან დამატებანი მათთან ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის ხელით ეცნობება რუსულ ენაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც გამოთქმულ აზრს კუთვნილებისამებრ გადასცემს. თუ სეიმი თავის აზრს არ გამოსთქვამს დადებულ ვადაზე კანონ-პროექტი თავის გზით იქნება მიღებული ამ აზრის მიუღებლად.

8. პირველ მუხლის პირველ ნაწილში დასახელებული კანონები და დადგენილებანი გამოქვეყნდებიან უმართებულეს სენატის მიერ საზოგადოდ არსებულ წესით.

გამოცხადება ამ კანონისა. ფინლანდიაში ხდება ადგილობრივ წესით, ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის ხელმძღვანელობითა და განკარგულებით.

9. განმარტება და დადასტურება პირველ მუხლის პირველ განყოფი-

*) იხ. „სახალ. გაზეთი" N 39.

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

# ალიონი

**მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 1 ივლისამდე.**

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა**, ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის გრძელი წინასიტყვაობით და განმარტებებით. დაახლოვებით 500 გვერდამდე.

2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა" 100 გვერდამდე.

3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი" (რომანი) და „მეკლესიის გარშემო" (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მღვდელ—დღევანდელ სამღვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.** ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება **1-ლ ივლისს.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი"-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია" 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში ხშვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო დარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უხათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ ს სტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 21.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

**„გლეხი-კაცის ისტორიაზე" ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.** ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გაფუჭებული აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნონ შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 21, **აქვე გადავიდა წიგნის მაღაზია „ალიონი".** (0—9)

წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

ლებაში ნაჩვენებ კანონთა და დადგენილებათა, აგრეთვე გადაწყვეტა ამ კანონთა და დადგენილებათა გამო აღძრულ ეჭვისა, საერთო კანონთა მიხედვით უმართებლესს სენატს ეკუთვნის. ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი თავის მხრივ ყოველივე ზომებს ხმარობს უმართებლესს სენატის ბრძანებათა საჭირო სისრულეში მოსაყვანად.

10. საერთო წესით გამოცემული კანონები და დადგენილებანი თავის თავად აუქმებენ ყველა მათთან შეუთანხმებელ ფინლანდიის კანონებსა და დადგენილებათ, რომელნიც საგანგებო წესებით არიან გამოცემულნი. (მუხ, 1, გან. 2) და აუცილებლად სავალდებულონი არიან მთავრობის ყველა (ადმინისტრატიულ, სასამართლო და სხვ.), აგრეთვე სათემო და კერძო დაწესებულებათა და პირთათვის, მიუხედავად ამ კანონებთან შეუთანხმებელ ადგილობრივ დაკანონებულ დებულებათა.

11. კანონები და დადგენილებანი, საგანგებო წესით გამოცემულნი (მუხ. 1, გან. 2), ვერ გააუქმებენ, ვერც შესცვლიან ან დაუმატებენ, ვერც შეაჩერებენ და განმარტავენ საზოგადო წესით გამოცემულ კანონთა და დებულებათ (მუხ. 1, გან. 1).

II სახელმწიფოს საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობაში ჩაირიცხონ ფინლანდიის სამთავროს მცხოვრებთაგან ამორჩეული წევრნი, რომელნიც არჩეულ იქნებიან იმავ წესით, როგორც ეს სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს საზოგადო არჩევნებისათვის არის დაწესებული შემდეგი ცვლილებითა და დამატებით:

**ა. სახელმწიფო საბჭოს არჩევნებისათვის.**

1. ფინლანდიის სეიმი ირჩევს ცხრა წლის ვადით ერთ წევრს სახელმწიფო საბჭოში იმ პირთაგან, რომელთაც უფლება აქვთ სეიმის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და რომელნიც აკმაყოფილებენ ქვემოდ მოყვანილ 2 მუხლის მოთხოვნილებას:

სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევის დაწვრილებით წესს ადგენს სეიმი.

2. ფინლანდიის სამთავროში არ შეიძლება ამორჩეულ იქმნან გარდა იმ პირთა, რომელნიც ნაჩვენებია სახელმწიფო საბჭოს დაწესების მე-20 მუხლში (გამ. 1906 წ. და გაგრ. 1908 წ.): 1) სამართალში მიცემულნი, იმ დანაშაულობათა ჩადენისათვის, რისთვისაც ადგილობრივ სისხლის სამართლის დებულების ძალით, მიესაჯება გამასწორებელ სახლში გაგზავნა ან დამნაშავეს მოქალაქობრივი ნდობა აეხდება, ან ღირსი არ იქნება სამთავროს რომელსამე სამსახურში ყოფნისა, როდესაც სასამართლოს ისინი არ გაუმართლებია, თუნდაც გასამართლების შემდეგ ისინი სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდენ ვადის გასვლისა გამო, უმაღლეს მანიფესტის წყალობით; 2) სამსახურიდან გადაყენებულნი ფინლანდიის სასამართლოების განაჩენის ძალით— სამი წლის განმავლობაში, დღიდან სამსახურიდან გადაყენებისა, თუნდაც ვადის გასვლის გამო ისინი კიდეც განთავისუფლებულ იქნენ უმაღლესის მანიფესტით ან საგანგებო უმაღლესს ბრძანებით; 3) რომელთაც ბრალი ედებათ ამ მუხლის პირველ განყოფილებაში ნაჩვენებ დანაშაულობის ჩადენისათვის, ან იმ დანაშაულობის ჩადენა, რასაც სამსახურიდან გადაყენება მოსდევს 4) რომელთაც რუსული ენა არ იციან.

3) რაინდობა და თავად-აზნაურობა ფინლანდიის დიდ სამთავროისა თავიანთ წრიდან ირჩევენ ორ ამომრჩეველს თავად-აზნაურთა საზოგადოებათაგან სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად (დააწ. სახ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 15).

4) ფინლანდიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კონსისტორია ორდინალურ პროფესორთაგან ირჩევს სამს ამომრჩეველს სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტებისაგან სახელმწიფოს საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად (დააწ. სახ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 16).

5) ვაჭრები და მრეწველნი ფინლანდიის სამთავროისა თავიანთ წრიდან სახელმწიფო საბჭოში მრეწველთა და ვაჭართა წარმომადგენლის ასარჩევად (დააწ. სახ. საბ. გამ. 1906 წ. მუხლ. 17) ამოირჩევენ ორ ამომრჩეველს (ერთს ვაჭართაგანს ერთს—მრეწველთაგან). დაწვრილებით წესებს ამაზე ადგენს ფინლანდიის საიმპერატორო სენატი ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის თანხმობით.

6) არჩევნების წარმოება (მუხ. 1 და 3—5), აგრეთვე საჩივარი არჩევნების უკანონოდ მოხდენაზე და სეიმის ტალმანისა და ქვემდებარე საარჩევნო კრებების თავმჯდომარეთა პასუხი ამ საჩივრებზე ერთი თვის განმავლობაში, დღიდან არჩევნების მოხდენისა, წარედგინება რუსულ ენაზე ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორს, რომელიც კუთვნილებისამებრ დადგენილ წესით უდგენს სადაც ჯერ არს.

7) საჩივარი ამომრჩეველთა უკანონო არჩევნებზე იწერება ფინლანდიის სენატის სამეურნეო დეპარტამენტის სახელზე და საკითხი საბოლოოდ სწყდება ამ დეპარტამენტის საერთო კრებით.

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

22 ივნისი.

## საზღვარ-გარედ.

**სოფია.** ბობჩევმა კონგრესის წევრებს მადლობა გადაუხადა, რომ მათ თავმჯდომარედ ბოლგარელი აირჩიეს და მით პატივსცეს ბოლგარეთს, და მიულოცა ბოლგარეთის იდეის გამარჯვებისათვის მებრძოლ ცანკოვს და სლავიანთა ბეჭვდიით ერთობის დაუღალავ მუშაკს ხოლეჩეკს. ბობჩევმა მოკლედ განმარტა კონგრესის მიზანი და სთქვა, რომ იგი არავის წინაამდეგ არ არის მიმართული, არამედ სლავიანთა იდეის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებაო. კონგრესს მთავრობის სახელით მიულოცა კრესტევმა, ხოლო სოფიის მცხოვრებთა სახელით ქალაქის თავმა. ხოლეჩეკმა წაიკითხა მოხსენება სლავიანთა ერთობის მიზნის შესახებ, გაითვალისწინა წინანდელ სლავიანთა ჟურნალისტების მუშაობა და სთქვა, კონგრესის შედეგებმა დაგვანახვა, რომ სლავიანებს ერთმანეთის ესმით, თუმცა თვითეული მათგანი თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს. აღარ შეიძლება სლავიანთა საერთო ენად გერმანული ენა ჩაითვალოს, სლავიანურმა ბეჭდვითი საქმემ თავი დაახწია გერმანულსო. შემდეგ ხოლეჩეკმა აღნიშნა სლავიანთა ნაციონალურ მოძრაობის თან და თანობითი ზრდა და სთქვა: ამ მოძრაობამ ჩვენ უდროო დროს მოგვასწრო, მაგრამ ჩვენ პოლიტიკურ ინტრიგებისაგან იგი შორს უნდა დავაყენოთ და მხოლოდ ნაციონალურ და კულტურულ განახლებისათვის გამოვიყენოთო. ცანკოვმა სიტყვა რუსულად წარმოსთქვა. სიტყვაში მან სლავიანთა ერთობა დაიცვა. ვირჩევმა წაიკითხა ბოლგარული მოხსენება დროებით ბეჭდვის შესახებ. დროებით ბეჭდვის საქმე 1844 წელს დაიწყო და წარსულ წელს 180 გაზეთი და ჟურნალი ირიცხებოდა ბოლგარიაშიო. საღამოთი კონგრესის წევრებს მუნიციპალიტეტმა ქალაქის საკრებულოში სადილი გაუმართა. გუშინვე გაიხსნა სლავიანთა ექიმების კონგრესი. აირჩიეს ბიურო.

**პარიზი.** აქ ხმა გავრცელდა რუსეთ-იაპონიის შეთანხმებაზე. გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ ამ ამბავს. „ტანი“ აღნიშნავს ამ შეთანხმების მნიშვნელობას შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დასაცავად. „ჟურნალი—დედება“ რუსეთ-იაპონიის საქციელს ჩინეთის საწინააღმდეგოდა სთვლის. ამით შეიცვლება მანჯურიის ფაქტიური მდგომარეობა და შეერთებულ შტატების წინადადება რკინის გზების ინტერნაციონალიზაციის შესახებო.

**კლივლენდი** (ოგაიოს შტატი). დეიტონიდან 25 ვერსის მანძილზე 21 ივნისს სწრაფი მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. მგზავრთაგან ბევრი დაიღუპა. ჯერ ჯერობით ამოიღეს 46 გვამი.

**კოპენჰაგენი.** ხელმწიფემ მოიწონა მინისტრთა სია. მინისტრთა პრეზიდენტად და სახელმწიფოს დაცვის მინისტრად დაინიშნა ფოლკეტინგის დეპუტატი კლაუს ბერნტსენი, გარეშე საქმეთა გრაფი—ალეფელდ ლაურვიგი, ფინანსთა—ფოლკეტინგის დეპუტატი ნერგორდი, სასოფლო მეურნეობისადმე—პუტატი ანდერს ნილსენი, საზოგადო საქმეთა—ტომას ლარსენი, შინაგან საქმეთა—იენსენ სენდერუპი, იუსტიციისა—უმთავრეს სასამართლოს ვექილი ბიგლოვი, ხოლო საზღვაო მინისტრად ვაჭარი მუუსი.

**ვენა.** ნაციონალურ საკითხების განსახილველად ამორჩეული დეპუტატთა პალატის კომისია იხილავდა აჰლერის წინადადებას მინორიტთა სკოლების შესახებ. უპარტიო ჩეხმა სტრანსკიმ განაცხადა, ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, რომ მთავრობა გადადგომას აპირებს, ამიტომ სთხოვა კომისიის სხდომები გადასდონ, სანამ მთავრობის კრიზისი არ გათავდება. ეს წინადადება 22 ხმით 15 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქმნა. საბიუჯეტო კომისიაში სლოვინები ობსტრუქციას განაგრძობენ. კომისიის პრეზიდენტმა კრამ თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა.

**კოპენჰაგენი.** უნივერსიტეტის რექტორი იაკობ აპელი კულტთა მინისტრად დაინიშნა.

**სოფია.** დილის სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს კობჩევმა, კურილკოვმა და კაზაკ-ერმაკმა. კობჩევმა პოლიტიკურ გამოცემათა გაცვლა გამოცვლის შესახებ წაიკითხა მოხსენება. მომხსენებლის აზრით ეს გამოცემანი საზოგადოებას სლავიანურ ნაციის განვითარების შესახებ უნდა აწვდიდნენ ცნობას. კურილკოვმა წაიკითხა სხვა და სხვა სლავიანურ ქვეყნების შორის წიგნებით ვაჭრობის პირობების გაადვილების შესახებ. კაზაკ-ერმაკმა მოახსენა სლავიანთა ქვეყნებში სატელეგრაფო-ინფორმაციონულ სამსახურის ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებლის აზრით ავსტრიის სლავიანებმა უნდა დაარსონ ვენაში განსაკუთრებული სააგენტოები და აქედან ყველა სლავიანურ ოფიციალურ სააგენტოებს უნდა აძლიონ ცნობები ავსტრო-უნგრეთის სლავიანების პოლიტიკურ და პარლამენტარულ ცხოვრების შესახებ. კაზაკ-ერმაკის მოხსენებას ივანჩმა დაუმატა, რომ სლავიანები ხშირად იძულებულნი არიან ცნობები შეკრიბონ ისეთ გერმანულ აგენტებისაგან, რომელნიც ყველაფერს სლავიანურს ზიზღით უყურებენ. განსაკუთრებულმა სლავიანთა დეპეშათა სააგენტომ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს უცხო მწერლობის გავლენას. ივანჩი წინადადებას იძლევა ცენტრალური სააგენტო ბელგრადში გაიხსნას.

**ვენა** საღამოთი გამოაცხადეს ბრძანება რეიხსტაგის მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** მომქმედ ჯარის ბინა პრიზრენში გადაიტანეს. უსკიუბში მიიყვანეს 49 დატყვევებული ალბანელი მეამბოხე. ალბანელთა ბელადი ასან-ჰუსეინი ჩერნოგორიაში გაიქცა. ალბანელთა უმთავრეს ძალები რომ-ნდანაზასკოკ ისლიამ სპაგის მეთაურობით ბიჩ-ნი ყალისის მიდამოებში სდგას. უმთავრესი ჯარი, რომელიც აქნობამდის ლიუმში მოქმედებდა, იპეკენ გაემართა.

**სტამბოლი.** სულთანმა დაამტკიცა პარლამენტის მიერ მოწონებული მაკედონიის ეკკლესიების შესახებ კანონი. ბერძნებ შორის ამან დიდი უკმაყოფილობა გამოიწვია.

### რუსეთი

**რიგა.** გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი ბორის პავლეს ძე მანსუროვი. იგი 82 წლისა იყო.

**ოდესა.** გაიხსნა სურათების სახალხო გამოფენა. გამოფენილია ერმიტაჟის, ალექსანდრე მესამის მუზეუმის და ტრეტიაკოვის გალერეის ორიგინალების პირები.

**ტვერი.** ტორჟოკში გაძარცვეს ამაღლების ძველი ეკკლესია. წაიღეს საეკლესიო ავეჯეულობა, ტანისამოსი, ხატები და ცოტაოდენი ფული.

**რიგა.** ვილნოს ოლქის ჯარების უფროსმა გლუხკ კალნინს სიკვდილით დასჯა ოცი წლის კატორგათ შეუცვალა. მას 1905 წელს რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა ბრალდებოდა.

**პეტერბურგი.** ფინლანდიის სტატს სეკრეტარი მინისტრი ლანგოფი საზღვარ-გარედ წასასვლელად ერთის თვით დაითხოვეს. მის თანამდებობას აასრულებს მისი ამხანაგი ფონ-ტერი.

**პეტერბურგი.** ნარვის სადარაჯოს იქით ეხვს ალაგას გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა 6 სახლი. ზარალი 80,000 მანეთზე მეტია. გამოირკვა, რომ ცეცხლი ძალზე წაუკიდებიათ.

**პეტერბურგი.** გრანდონაჩალნიკმა „ზემშჩინა“-ს რედაქტორი გლინკა-იანჩევსკი 300 მანეთით დაჯარიმა, „ზემშჩინა“-ს № 333-ში „ყალბი კერპების“ დაბეჭდვისათვის. თუ ფულს არ გადიხდის, ორი თვით დააპატიმრებენ.

**კიევი.** სამხედრო საოლქო სასამართლოში დაიწყო 1908—9 წლ. სამხედრო ორგანიზაციის საქმის გარჩევა. სამართალში მიცემულია მე-19 არტილერიის ბრიგადის უფროსი აფიცერი და 11 ჯარის კაცი. მოწმეებად 50 კაცამდეა გამოწვეული. ბრალს სდებს ბრალმდებელი გენერალ ლეიტენანტი კოსტენკო. სხდომებზე არავის უშვებენ.

**პეტერბურგი.** მიწის მომწყობმა კომიტეტმა 19 ივნისის სხდომაზე დაამტკიცა დებულებანი სანადელო მამულების შესახებ. კომიტეტის აზრით მონაწილეთა კუთვნილ მამულების გამოყოფა სასარგებლოა ცალკე მეურნეობათა განვითარებისათვის. მიწის მომწყობ კომიტეტის საბოლოო მიზანია—მამულების სრული გამოყოფა და მონაწილეთა კერძო მფლობელობის განვითარება. პირველად ეს გამოყოფა მოხდება იმ საზოგადოებებში, სადაც უფრო ექვს გარეშეა გლეხობის თანხმობა თემობრივ მფლობელობის ნაცვლად კომლობით მფლობელობის შემოღებაზე, სავალდებულო გამოყოფა მოხდება, თუ მამულების მოხმარების განაწილებამდე, სანამ სოფლის განაჩენი შესდგებოდეს გლეხებმა სურვილი განაცხადეს: 250 კომლიან სოფლის მცხოვრებთაგან თუ ერთმა მეხუთედმა განაცხადა სურვილი გამოყოფაზე.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ხოლერის მოლოდინში.** სამშაბათს, 22 ივნისს, კრება ჰქონდათ ქალაქის სასანიტარო ექიმებსა და მეთვალყურეთ. კრებამ მსჯელობა იქონია ხოლერის წინაამდეგ ღონის ძიებათა მიღების შესახებ და ხანგრძლივ კამათის შემდეგ დაადგინა დროებით შემოიღონ ქალაქში ექიმებისა და მეთვალყურეთა მორიგეობა. მორიგეობის დროს ექიმები ოქველად სახლში უნდა იყვნენ და ყოველთვის მზად უნდა იყვნენ საეჭვო ავადმყოფთათვის დახმარების აღმოსაჩენად, ხოლო სასანიტარო მეთვალყურენი—ფერშლები ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში უნდა იყვნენ.

✦ **ცეცხლი.** ამ დღეებში ვიღაც უცნობებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფ. ხვწემში აგო ფარასტაშვილის საწვრილმანო დუქანს. დუქანი დაიწვა. ზარალი 1000 მანეთამდეა. ამ დღეებშივე გორში დაიხრჩო მტკვარში ბანაობის დროს გიორგი ქოქაშვილი.

✦ **ქართულ ჟურნალის დაჯარიმება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა 300 მანეთით დაჯარიმა ქართულ კვირეულ ჟურნალ „სხივ“-ს რედაქტორ-გამომცემელი ერ. ტულაბერიძე თეირანიდან კორესპონდენციის დაბეჭდვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ.

✦ **მ. ა. ჯაბარი.** როგორც გადმოგვცეს, ალექსანდროპოლის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთ წრეს გადაუწყვეტიათ ტფ. ქალაქის საბჭოს მდივანი მ. ა. ჯაბარი ალექსანდროპოლის ქალაქის მოურავად აირჩიოს ნაცვლად ი. ტიგრანიანისა, რომელმაც თანამდებობას ამ დღეებში დაანება თავი.

✦ **სვანეთის გამოკვლევა.** ნამესტნიკის ნებართვით ამ დღეებში მიწადმოქმედების მიწისმომწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებული სვანეთში გზავნის აგრონომს კალვეიტსა და ბოტანიკს სოსნოვსკის. ამათ სვანეთის სამეურნეო და ეკონომიური გამოკვლევა უნდა მოახდინონ.

✦ **ხოლერა.** ტფილისში ხოლერის ნიშნები ჩნდება. როგორც ვწერდით, 21 ივნისს გარდაიცვალა მეპურე სარქის ძე დავითისა, ექიმებმა მისი გვამი გაჰკვეთეს და დარწმუნდნენ, რომ სარქისი ხოლერით მომკვდარა. 22 ივნისს პოლიციის ქუჩაზე მე-№ 25 სახლში კიდევ გარდაიცვალა ერთი საეჭვო ავადმყოფი, ქალაქ ახალქალაქის მცხოვრები ბალდასარ ოგანესის ძე კოსიანცი, 54 წლისა, ხელობით მეპური. ექიმის შემოწმებით კოსიანცს ხოლერის ნიშნები აქვს. მის სახლს დეზინფექცია უყვეს. გამოირკვა, რომ კოსიანცი რამდენისამე ხნის წინად მუშაობდა დიდი ვანქის ქუჩაზე მელკონ კავარაზიანის ფურნეში, რომელიც მე-№ 12 სახლშია მოთავსებული. ფურნე ქალაქის უბნის ექიმის განკარგულებით დახურეს, საყურადღებოა ის, რომ ყველა ავადმყოფნი, რომელთაც ხოლერის ნიშნები აღმოაჩნდათ, მეპურეები არიან.

✦ **ახალი განკარგულება.** დღემდე ავადმყოფთ, რომელთაც ხოლერის ნიშნები ჰქონდათ, მიხეილის საავადმყოფოში ჰგზავნიდნენ. ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ასეთი ავადმყოფნი ამას იქით პირდაპირ ავლაბრის ბარაკებში გაგზავნონ ხოლმე.

✦ **რედაქტორის დაპატიმრება.** 22 ივნისს დააპატიმრეს და ციხეში გაგზავნეს აწ დახურულ ქართულ გაზეთის „ჩვენი გაზეთი“-ს რედაქტორი ზოსიმე ტყეშელაშვილი. იგი პასუხის გებაში მიცემულია სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით.

✦ გიორგი ჩხეიძემ 25 მანეთი შესწირა სურამის დრამატიულ საზოგადოებას. ჩხეიძე ამ საზოგადოების საპატიო წევრად ითვლება. იგორ და ანნა მახარაძეებმა ამავე საზოგადოებას შესწირეს 13 მ. 80 კაპ.

✦ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალის „მოსავალის“ მორიგი (11) ნომერი შემდეგის შინაარსით „რანაირი კანონი გამოვიდა რუსეთში 7 თიბ. 1904 წ. და როგორ ვისარგებლოთ მით“, გ. რცხილაძესი; „როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ხვნა-თესვა“, ე. იოსელიანისა; „ნიადაგი“, ნ. გულბაათაშვილი. „ღვინის ბოჩკების გარეცხვა“, მ. ქარცივაძესი, „თამბაქო“ სტ. გ. რცხილაძესი, „ადერსიანად მოუვლიდა თქვენ საქონელს“, ელ. კარებელაშვილისა.

✦ როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში ვიღაც უცნობთ მოუკლავთ ტფ. მაზრის, სოფელ ახალსოფლის მცხოვრები ტატო ჩატირაძე. წაუღიათ ვერცხლის ქამარი, დირებული 80 მანეთად. ეჭვი აქვთ ერევნიდან უჯარმაში სამუშაოზე მოსულ სომხებზე, რომელნიც მკვლელობის დღეს უჯარმიდან ახალსოფელში წამოსულან, მაგრამ იქ აღარ მისულან და დღემდე არსად სჩანან.

✦ 22 ივნისს პოლიციამ მასიურ ჩხრეკის დროს ქალაქში 17 უპასპორტო შეიპყრო.

# „დედა-ენა და ბუნების კარი“

იაკობ გოგებაშვილისა.

I

ქართველი ადამიანი და დაუდევრობა დიდი ხანია სინონიმად გადაიქცა, მაგრამ ამისთანა წმიდა საქმეში, როგორც არის ბავშვების თავის დედა-ენის შესწავლა, ქართველური დაუდევრობა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

დღეს ფოსტით*) ჩვენმა ბავშვებმა წიგნები მიიღეს. პატარა შოთა მაშინათვე პატარა „დედა-ენას“ მივარდა, გადაშალ-გადმოშალა და შემომძახა:—მამა, მამილო პატარა „დედა-ენაში“ ოფოფი ისევ „კუკუს“ იძახისო.

უნდა მოგახსენოთ, რომ მარშან შოთა სწავლობდა „დედა-ენის“ პირველ ნაწილს, მაშინ ყველამ შენიშნეს ეს შეცდომა. ბავშვებს მაშინ აუხსენ, რომ ეგ შეცდომა სტამბაში მოსვლიათ და ახალს რო გამოსცემენ, ძია გაასწორებს თქო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ შოთას იმედი გაუცრუვდა, წლევანდელ გამოცემაშიაც შეცდომა ეტყობა შეუმჩნეველი დარჩა. ახლა შოთამ აღარ იცის, ვინ არის მართალი ძია გოგებაშვილი თუ მამა.

აი საქმე რაშია:

„დედა-ენის“ პირველ ნაწილში მე-40 გვ. ნათქვამია, რომ ოფოფი „თავის მოსვლას გვატყობინებს მხიარული ძახილით „კუკუ“, შემდეგ კითხვაა დასმული: „გუგუს“ რომელი ფრინველი იძახის?“ ბოლოს ჩართული აქვს შემდეგი ლექსი:

დილაზე ხიდან ოფოფმა
სოფელს „კუკუ“ გადმოსძახა;
დანაყრებულმა შაქრომა
„გძლიე, გძლიე“ მიაძახა.

ჩვენ არ ვიცით—იქნება ესე ყველა პედაგოგიური ხრიკია და გამოცანაა—აცა ვნახოთ ბავშვები მიხვდებიან რასმე თუ არაო? მგონი კი უფრო გამოცანად ითქმის, თორემ წიგნი აგერ 28 გამოცემით გამოვიდა და როგორ დავიჯეროთ ჩვენს მეტმა ვერც ერთმა მეზობელმა და მასწავლებელმა ვერ შეამჩნია ეს შეცდომა. თუ შეცდომად მიიჩნიეს, ამოდენა სოფლის მასწავლებლობა რად სდუმდა, რად ატყუებდა ბავშვებს? რატომ დროზე არ აცნობა წიგნის შემდგენელს: ბატონო ვის გაუგონია, რომ ოფოფი „კუკუს“ იძახოდეს თქო. ჯერ რო სიტყვა „კუკუ“ რუსულია და ქართულად უკადრისი ლექსიკაა, ოფოფს ლათინურად უპუპა ჰქვიან. ეს სახელი თვით ოფოფმა დაირქვა რადგან „უპუ-პუ“!, „ოპოპ“!, „ფუფოფ“! იძახის. ფრანგის პატრებმა საქართველოშიაც ლათინური სახელი დაანათლეს ამ ფრინველს.

რომ ოფოფი „კუკუს“ არ იძახის ამაში თვით შემდგენელიც დაგვეთანხმება, რადგან „ბუნების კარში“ (იხ. გვ. 35. გამოც. 1906) თვითონვე გვასწავლის, რომ ოფოფი „ოფოფოფოფოფს“ იძახისო. ჩვენ გვწამს და გვიწამებია **ევოლიუცია ბუნებაში**, მაგრამ არც ისე უეცარი, რომ 1906 წ. ოფოფი „ოფოფოს“ იძახდეს და 1909 წელს კი „კუკუს“.

რაც შეეხება ლექსს, თუ ეგეც გამოცანა არ არის, ლექსი გუგულზეა გამოთქმული და არა ოფოფზეო. უნდა იყოს: „დილაზე ხიდან გუგულმა სოფელს „გუგუ“ (და არა **კუკუ**) გადმოსძახა; დანაყრებულმა შაქრომ „გძლიე, გძლიე“ მიაძახა“.

ამ ლექსში გამოხატულია ხალხის ცრუ მორწმუნეობა, მაგალითად: რომ გაზაფხულზე **მერცხალმა** არ დაგძლიოს, უნდა ნახვის წინედ ღვინო გქონდეს თუნდ ერთი წვეთი დალეული. რომ **ოფოფმა** არ დაგძლიოს, უნდა თავი გქონდეს დავარცხნილი. რომ **გუგულმა** არ დაგძლიოს, უნდა დანაყრებული იყო და სხვ. და სხვ. მაშასადამე დანაყრებულმა შაქრომ **გუგულს** მიაძახა „გძლიე, გძლიეო“ და არა ოფოფს.

ჩვენი წრფელი სურვილია ამ პატარა შენიშვნით სარგებლობა მოუტანოთ თვით სამძიმო საქმეს—გასასწორებელი გასწორდება და მოზარდი თაობაც ნამდვილ მცნებას შეისწავლის. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ ჭეშმარიტებით, რომ როცა წიგნი იბეჭდება და საქვეყნოდ გამოდის, ის ავტორს კი აღარ ეკუთვნის, არამედ მთელი ხალხის საუნჯედ და საკუთრებად ხდება და რადა თქმა უნდა მთელი ერი დაინტერესებული უნდა იყოს, რაც შეიძლება საუკეთესო განძი და უნაკლულო სამკვიდრებელი შეიძინოს. მეტადრე ეს ითქმის სახელმძღვანელოებზე, რომლითაც მთელი ერის მოზარდი თაობა ისწავლება.

—

*) ამ წერილის დაბეჭდვა მეტად დაგვიანდა სხვა და სხვა მოსაზრებისა და პირობებისა გამო. რედ.

ვსარგებლობ შემთხვევით და ბარე დავასახელებ ყველას, რაც რამ ამ პატარა წიგნში გასასწორებლად მიმაჩნია: ყდაზე ვკითხულობთ, რომ ეს პირველი ნაწილი „დედა-ენის“ **ყველა სარწმუნოების ქართველთათვის არის შედგენილიო**. მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ებრაელებიც. მე **16** გვ. კი დახატულია **ლორი** და მისი რამდენჯერმე დასახელებაც არის. შორს მხედველობის პოლიტიკა მოითხოვს, რომ უფრო სათუთათ მოვეპყრათ ჩვენი თანამემამულე ძმების რწმენას, მათს რელიგიურ მეტად ნაზს და წმინდა გრძნობას, ჩვენ ჯერ ბევრი შრომა გვჭირია, იქნება ნახევარ საუკუნის მედგარმა შრომამ ვერც-კი იკმაროს, ვიდრე მაჰმადის მორწმუნე ქართველს დავაჯერებ, რომ იგი სისხლით, მთელის თავის არსებით ნამდვილი ქართველია, ხოლო რჯულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს თვალში.

მაინცა და მაინც რა უებველ სამკაულს შეადგენს **ლორი?** განა არ შეიძლება დაიხატოს მაგალითად **ლამურა** (ასო ლ შესასწავლად), **ლუზა, ლობე, ლალლა** და სხვა, მე უფრო შორს წავალ—მე ამოვშლიდი ნახატებს: **ჯვარს და ეკლესიას.** უამათოდ ქრისტიან ბავშვებს საქმე არ წაუხდებათ და არა ქრისტიან ქართველების გულს კი მოვიგებდით. თორემ აბა წარმოიდგინეთ, რა უხერხულად უნდა გრძნობდეს თავს ის მასწავლებელი, რომელსაც არა ქრისტიანი ქართველები ჰყავს მოწაფეთ!?...

წვრილმანებს რო გამოუდგეთ და ეს პაწია წიგნი წმინდათ რო გავცხრილოთ, საჭიროდ მიგვაჩნია შეიცვალოს: 1) სიტყვა **ბურტყული** უფრო კეთილ ხმოვანზე **ბუმბული** (იხ. გვ. 38 „ქათამი შემოსილია ბურტყულით“), ყველა ე. ი., ვინც კი ეხლა განათლებას[[ეწაფება, ცდილობს ლაპარაკიდან ეს **საყროყინე** სიტყვები განდევნოს თავის ლექსიკონიდან და ჩვენ კი არ ვიცი რა გვემართება. აბა რა საჭიროება მოითხოვდა ამ შემთხვევაში ბუმბულის მაგივრად ბურტყული ხმარებულიყო.

2) გრძლად აღწერას, რომ ბატს და იხვს **განიერი ფეხების ფრჩხილები გაერთიანებული აქვსთ კანითა** (გვ. 38) უკეთესია ვიხმაროთ ტერმინი **ბანდი**, აქედან—**ფეხბანდული ფრინველნი**.

4) გაუყოფელ (გაუპობელ სჯობს) ჩლიქს ქართულად **ქაჩაჩი** ჰქვიან. აქა და რუსებს არა აქვსთო ჩვენი რა ბრალია, ამ გვარად **ქაჩაჩიანი ცხოველები** (однокопытныя животныя) და **ჩლიქიანი ცხოველები** (двукопытныя животныя) და სხვა.

4) ხლას რუსიციზმად მიმაჩნია შემდეგი წინადადება, რომელიც წიგნაკს ყდაზე აწერია: „ამ ანბანს რო გაათავებენ, მოსწავლენი **გადავლენ** (ხაზი ჩვენია) „დედა-ენის“ საკითხავ წიგნზედ?...

თუ ვინმემ დაგვიმადლა, სხვა წიგნებზე სხვა დროს ვიტყვით.

**ჯავახელი.**

# პატარა ფელეტონი
## ხელის დავთრიდან

**ბიძა ჩემო!**

შენც გაიგონებდი—გუშინწინ ხმა გავარდა:—

ორი დიდი კაცი ერთმანეთს მოკვლას უპირებენ, თავის გაწირვას აპირებენ!

გასწირეს კიდეც!

ორი დიდი კაცი ოცდახუთი ფეხის ბიჯზე გაჩერეს ზურგ-შექცევით.

ესროლეთ!

მოტრიალდენ, ესროლეს და გადარჩენ;

ყოველივე ანგარიში გაიწმინდა!

თვით იისიც გაიწმინდენ, განსპეტაკდნენ, გალალასდნენ... უმწიკვლონი არიან.

და იმდენად აღიტაცენ, რა იგრძნეს ყოველივე ეგ ცვლილება, ზნით, პატიოსნებით, კაცათ კაცობათ გარდაქმნა, რო გულები აუჩუყდათ და ამბორ უყვეს ერთმანეთს.

იმა დღიდან აწ და მარადის სეფა გაჩაღებულ იქნების ხან ერთისას, ხან მეორისას.

სეფე სიტყვებსა, ხოტბა-შესხმასა დასასრულ არ მიეცემის.

ისინი უცოდველ არიან.....

როდის, ნეტა როდის დასრულდება იგი დიდი ტაძარი მეცნიერებისა?

ფული არ არისო... მუშაობა დუნეთ მიდის.

ისინი უცოდველ არიან.

ოცდახუთ ფეხის ნაბიჯზე გაუდგენ ერთმანეთს... დამბაჩების ყრუ ხმას გაჰყვა თან მათი ცოდვა-უცოდველობის ანგარიშები.... უკადრისი ჰკადრეს, ერთმანეთს სიტყვით, კინალამ მოქმედებითაც, ხოლო რაკი ოცდახუთ ფეხის ნაბიჯზე გაუჩერდენ ერთმანეთს და ესროლეს—გაიწმინდენ...

ოო, ეს სადილები, ეს ქეიფები, ზურნა, მუსიკა!

რამდენი სიფლიდე, პირმოთნეობა, ზნე-დაცემულობაა აქ.

გუშინ არ იყო კრებებზე ლამის ტყავი გააძრეთ... ბრალდება... ზიზღი... უვარგისობა... ქვეყნის ღალატი...

დღეს თუ ვინმეა, ვინმე კია, ისიც არის ქვეყნის აშენებელი დამშვენებელი, ხვეტაკი მოღვაწე, უმწიკვლო, ამბორსაც უყოფ, არა იუდასებურს, არა, გულით, სულით, გრძნობით ამბორს.

ვიდრე ხვალით, ბატონებო!? ეი, ვინა ხარ პატრონი....

არა მრწამს სიბრძნე გლახაკთა მეთქი....

იმ თავითვე ამას ვეჩიჩინებოდი „ჩემიანებს“, ვაფრთხილებდი:

—ცქვიტეთ ყურნი, ალმაცერად ნუ უყურებთ საქმესა თქო. ნაკლები ნდობა..

განა, რო მართალი ვყოფილვარ!?.

წაჩხდარს საქმესა რას არგებს მასუკან თითზე კბენანი—ბრძანა დავითმა.

**ხელი.**

# ხალხის შესასწავლად.

მას შემდეგ, რაც ქართულს მწერლობას თვალყურს ვადევნებ, თითქმის განუწყვეტლივ გაისმის ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ერთი და იგივე მოწოდება: დაუშურეთ სახალხო ნაწარმოების შეკრებას, ჩასწერეთ,—ვისაც შემთხვევა გეძლევათ,—არაკები, ლექსები, ლეგენდები, ჯამოცანები, დააკვირდით ხალხის ზნე ჩვეულებებს, სამართალს, შინაურს მოწყობილებას, ოჯახის გამგეობას. განსვენებული პეტრე უმიკაშვილი, ზოგტი რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე წინამძღოლნი იყვნენ ხალხის შემოქმედებითი განძის შესწავლის და აღბეჭდის საქმეში. მათ მიუგნენ ფეხდაფეხ მრავალნი ცნობილნი მწერალნი: აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო და დავით ხიზანაშვილები, თ. რაზიკაშვილი, თავისუფალი სვანი და სხვანი. ამ ბოლო დროს ხმა აღიმაღლა გულაც ამავე საგანზე ი. კარგარეთელმა და მიჰმართა ჩვენს სტუდენტობას საზაფხულო მოგზაურობით ისარგებლონ საერო წარმოების შესაკრებად. ამ მოწოდების გამო დაწერილია ეს წერილიც.

მოსკოვში არსებულმა ადგილობრივ უნივერსიტეტის მფარველობის ქვეშ ქართულის კულტურის მოყვარეთა წრემ განიზრახა დაავალოს თავის წევრებს თავისუფალი დრო საქართველოში მოახმარონ ზეპირ-სიტყვაობის მასალის შეკრებას, ხალხის ეკონომიურად გაცნობას, ჩვეულებრივი უფლების გამოსარკვევად. ამ ფართო პროგრამის შესასრულებლად, რასაკვირველია, საჭიროა რამე სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით შესაძლო გახდეს ნაყოფიერად და სისტემატიურად მუშაობა. ამ მოსაზრებით წრემ დაავალა მიგმართოთ ჩვენს საზოგადოებას ორნაირი თხოვნით პირველი, შეეხება პროგრამმის გამოცემას, მეორე ზნეობრივ და მატერიალურს დახმარებას. პროგრამმა უკვე შედგენილია და დაბეჭდილიც იყო აკაკის ჟურნალის, კრებულში“. იგი შემუშავებულ იქმნა ჩემი წინადადებით და რედაქციით მოსკოველი სტუდენტების დახმარებით და ნაწილ-ნაწილ

# ჭ ი ა

* * *

ალარ ვნანობ, ჰოი ღმერთო,
რაც მომესპო, რაც წამერთო,
მხოლოდ დღესვე
მსურს ჩემი სვე
ცის წიაღსა შეუერთო,
რომ უკვალოდ არ ჩაკვდეს ხმა.

* * *

მაგრამ ჰიას, ჰიას მცოცავს,
გაუხარელს, მხდალს, საცოდავს
ვინ მოურჩენს
სულის მწვავ სენს,
ვინ სცემს ნუგეშს, ვინ დალოცავს?
დასჭკნა გული, გახმა... გახმა.

**ი. გრიშაშვილი.**

იბეჭდებოდა **კრებულში 1899 წ. №№ 7, 8, 9 და 11 და 1890 წ. № 2.** თავდაპირველად საჭიროდ დავინახეთ პროგრამმის ცალკე წიგნად გამოცემა, რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. ამიტომ ვთხოვთ ჩვენს გამომცემლებს დაგვეხმარონ და ეს პროგრამმა დაგვიბეჭდონ უსასყიდლოდ დასარიგებლად. ამ პროგრამმით ისარგებლებენ სოფლის მასწავლებლები, მღვდლები და საერთოდ ეთნოგრაფიის მოყვარენი და მაძიებელნი.

პროგრამმის გარდა ჩვენი ხალხის შემსწავლელს ესაჭიროება ზნეობრივი დახმარება ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ და გაუადვილონ მოგზაურობა და მასალის შეკრება. თავიდათავი სახსარი მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, მატერიალური საშუალებაა. ფულით დახმარებაც თითო-ოროლა პირმაც აღგვითქვა; მაგრამ საკმარისი არ არის საქმის დასაწყობად და გასაძლიერებლად. ფონდის გასაძლიერებლად ამ სათავისტოს დასახელებული წრის წევრები გამართავენ წარმოდგენებს და იმედია ჩვენი საზოგადოება არ დაიშურებს თავისი წვლილს დიდებული საქმის წარსამართავად. თუ შეიკრიბა ცოტაოდნად საკმარისი თანხა, მომავალი წლიდან შევუდგებით სისტემატიურად შესწავლას როგორც ხალხის ზეპირ-სიტყვაობის, აგრეთვე მისი ეკონომიური და იურიდიული მდგომარეობისას. თანდათან საქმეს გავაფართოვებთ და გარდა აღნიშნული მხარეების შესწავლისა, შევუდგებით გრამოფონით ხალხური მუსიკალური ნაწარმოების შეკრებასაც. განზრახული საქმის კეთილად დაგვირგვინება დამოკიდებული იქნება ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობაზე და მონაწილეობაზე.

**ა. ხახანაშვილი.**

# წერილი ხარკოვის სათვისტომოს გამო
(პასუხად ბ. შხ—ლს*).

სრულიად უყურადღებოდ ვტოვებ ბ. შხ—ლის იმ წერილებს, რომლებსაც რეკლამური ხასიათი აქვს, ვინაიდან იმედი მაქვს, რომ ერთხელაც იქნება გონს მოვა და მოიშლის ამნაირად წერას. ეხლა კი გადავდივარ მის მიერ „ჩვ. გაზეთის“ მე **61** და **62 №№**-ში მოთავსებულ წერილებზე. იგი არჩევს ხარკოვის სათვისტომოს გამგეობის წერილს, რომელიც მოთავსებული იყო „ჩვ. გაზ. მე-“**58**-ში, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებულია შემდეგი: „გამგეობა საჭიროდ სთვლის გააცნოს საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება“ და სხ; ამ ალაგს ძალიან აუღელვებია ბ. შხ—ლი. თუ როგორ აასრულა ეს მოვალეობა გამგეობამ, როგორ ობიექტიურად გადმოგვცა ფაქტი, ნათლადა სჩანს წერილიდან; მკითხველს ადვილად შეუძლიან დარწმუნდეს როგორც ამაში, ისე იმაში, რომ იმ წერილში არავითარი ალაგი არა აქვს „კინკლაობას“,—მით უმეტეს დარწმუნდება, თუ დროს არ დაიშურებს და წერილებს ერთმანეთს შეადარებს. ამაში ვერ რწმუნდება მხოლოდ ბ. შხ—ლი, გვპირდება ფაქტის „ობიექტიურად“ გადმოცემას, გამგეობისაგან ნიღაბის ახდას, მაგრამ... მაგრამ სჯობს კვალ და კვალ გავყვეთ ბ-ნ შხ—ლს. იგი დაპირებისამებრ დიდის რიხით იწყებს: „დავიწყოთ თავიდან“. მკითხველი, დაინტერ სებული ამით, უცდის ფაქტის გადმოცემას, მაგრამ ამაოდ. ბ-ნი შხ—ლი იწყებს არა თავიდან, არამედ იქიდან, საიდანაც მისთვის სასარგებლოა: „იმის მაგივრათ, რომ ამ კერძო პირთ (იგულისხმე მედუელეები დ.) თავი თვითონ ემართლებინათ, მათ ამართლებს გაზეთის ფურცლებზე, მათ ექომაგება გამგეობა“. აქედგან, რასაკვირველია, შესაფერი დასკვნა გამოჰყავს ვისაც კი ოდნავ თვალი უდევნებია ამ ინციდენტისათვის, დასწრებია კრებებს და ვისაც სმენა არ ღალატობდა, იმისთვის ცხადია, თუ რა აზრს ადგა სათვისტომო და გამგეობა დუელის შესახებ. იგი დაგმობილი იყო და მიღებულ იქმნა შესაფერი ზომები მის წინააღმდეგ, რასაც მოწმობს გამგეობის წერილი „ჩვ. გაზ. მე-58 №, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებულია: „გამგეობის მიერ მოწვეულ იქმნა **კერძო** თათბირი, რომელზედაც აირჩიეს დეპუტაცია. ამ დეპუტაციის მეცადინეობით დუელი ჩაიშალა“. ბ. შხ-ლო, ნიღაბის ახდაც ამას ჰქვია. განა თქვენი „პრინციპიალურად გაწრთვნილი ამხანაგები არ გაყვენ სეკუნდანტებათ მეორე მხარეს? განა თქვენმა „ძმა-ბიჭებმა“ არ მიიღეს დუელი და ეხლაც იმათ არ უზიხართ გვერდში, იმათთან არ შეკავშირით კავშირი? და ყველა. ამეების შემდეგ შეგწევთ სითამამე და გაიძახით „ჩვ. გაზ“ მე-62,-№ ნომერში: „როგორ შეგიძლიან ერთ წრეში გვერდში უჯდე იმ ახალგაზდას, რომელიც მხურვალე მომხრეა დუელისა პატიოსნების აღსადგენად, შენკი ეს საშვალება არ გწამს.“ მიკვირს, ბ. შხ—ლო, თქვენი ეთირისებური ლოღიკა. განა ის ვერ მოიფიქრეთ, რომ ტყუილის მოკლე ფეხები აქვს? ან როგორ გაბედეთ და როგორ გაგიტაცათ „ობიექტიურ შეხედულობამ“, რომ გამგეობის წერილი იყო „ჩვ გაზ“ მე 58 № და თქვენ კი იმავ გაზეთის მე 61 №, ე. ი. ორი ნომრის შემდეგ ასეთი სიცრუით გაუმასპინძლდით საზოგადოებას? რისთვის დაგჭირდათ ასეთი უცნაური ტყუილი და თვალებს ვის უხვევთ? წავიდეთ ქვევით. თქვენ განაგრძობთ: „გასულ ოპოზიციის წევრებს გვერდს უვლიდენ დღევანდელი გამგეობის წევრები, ამ უკანასკნელთ ისინი უდროოვთ დასვეს ბრალდებულის სკამზე და ხელს უწყობდნენ მათ წინააღმდეგ ჭორების გავრცელებას“. გრძნობთ, რომ თქვენ გაბედულობას გადაუჭარბებია, მაგრამ მაინც გსურთ ნიადაგის შერჩენა და განაგრძობთ: „ეს სინამდვილეა, რომ საჭირო იყოს, აქ სახელსა და გვარებს ჩამოვთვლიდით“-ო. ბ. შხ—ლო, როდის გამოდიოდა გამგეობა, როგორც გამგეობა, ამ ინციდენტის გასარჩევად ასოდეს. იგი არი იყო სათვისტომოსგან აღჭურვილი ასეთი დირექტივებით და თუ რომელიმე წევრი შედიოდა კომისიაში, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ის გამგეობის სახელით მოქმედებდა? ამას თავ დავანებოთ. როგორ გესმით სიტყვები: გვერდს უვლიდენ გასულ ოპოზიციის წევრებს დღევანდელი გამგეობის წევრებიო? ნუ თუ ისე გესმით, რომ თქვენი მხრიდგანაც იყვნენ მოწვეულნი და თქვენ კი არ ინებეთ მოსვლა ამ **კერძო** კრებაზე, სადაც იყო ეს კომისია ამორჩეული რაც ნათქვამია გამგეობის წერილში „ჩვ. გაზ.“ მე **58** № და ეს კრება **კერძო**, და არა სათვისტომოს კანონიერი კრება, როგორც თქვენ ამას დაჟინებით გაიძახით. „გამგეობამ ისინი უდროოთ დასვა ბრალდებულის სკამზეო“, ამბობთ თქვენ. ამ სიცრუისთვის კი სახელს ვერ ვპოულობ, ბ. შხ—ლო! ფაქტები? აქვე მაგონდება თქვენი წერილის ბოლო და სასაცილო მდგომარეობა. თქვენ გაიძახით: „რა უყავით ის რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია—მოეხსნას იქვი იმ პირთ (იგულ. გასული ჯგუფი, დ.), რომელნიც თავის თავს ივქ-მოტანილათ სთვლიდნენო?“ განა ეს რეზოლიუცია იმის მაჩვენებელი არ არის, რომ სათვისტომო, **როგორც ერთეული**, არავითარ ბრალს არა გდებდათ თქვენ? სათვისტომოს თავიდანვე არა სურდა ამ ინციდენტის გარჩევა, რადგანაც მას კერძო ხასიათი ჰქონდა, ეწინააღმდეგებოდა სათვისტომოს მიერ დასახულ მიზნებს, მაგრამ ამას მაინც მოითხოვდით და ბოლომდე საქმე მაინც ვერ მიიყვანეთ, მიკვირს, რა ძალით უმასპინძლდებით სათვისტომოს, როგორც ერთეულს, და მის გამგეობას უცნაური ეპიტეტებით!? რათ ახვევთ სათვისტომოს მისი ერთი-ორი წევრის აზრს, ან და **ჯგუფისას?** აქ რა შუაშია იმ სათვისტომო? მართლდება იმ ამხანაგის სიტყვა, რომელმაც სთქვა **ჯგუფის** შესახებ: „მე მაკვირვებს მათი უაზრო მოქმედება, უტაქტიკობა; ისინი შეურაცყოფილი იყვნენ ეკატერინოსლავის ქუჩაზე ვილაცებისაგან, ან და ერთი ორი სათვისტომოს წევრისაგან, და ამაში ბრალს სდებენ სათვისტომოს, როგორც ერთეულს. სწორედ ეს რეზოლიუცია დაგანახვებთ თქვენ მოქმედების ნიშანწყლიანობას. კარგათ ჩაუკვირდით. გაითვალისწინეთ პრინციპები კოლლექტიურ ორგანიზაციისა. კოლლექტიურ ორგანიზაციის თავის დასანებებლად არის მიზეზები შესაწყნარებელი და შეუწყნარებელი. შემდეგ, ეხება რა კომისიას, დასძენს: „ის თავიდანვე „გამომძიებლათ“ კი არ გამოსულა, არამედ „ბრალმდებლათ“. ასეთი ბრალდებისათვის მკითხველი საბუთს მოთხოვს, მაგრამ ამაოდ. ის დიდის ავტორიტეტით გარწმუნებთ, რომ ეს „სხდომებზე დამტკიცდაო“. ფაქტები, ბ. შ—ლო? ეგებ იმას აუღელვებიხართ, რომ გამომძიებლებმა „ზოგიერთები“ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა!? კომისიამ „ქიანჭველ ს“ ავტორების აღმოსაჩენათ არა მისატევებელ საშვალებას მიმართაო“, ე, ი. ჩხრეკას, ამბობთ თქვენ. დიახ, მაგრამ ეს ზომა სათვისტომოს კრებაზე დაგმობილი იქმნა. ბ. შხ—ლმა კი დაჰკრა ბუკი და ნაღარა, რომ გამგეობა სდუმდაო. საქმეც იმაშია ბ. შხ—ლო, რომ გამგეობა და სათვისტომო აქ არაფერ შუაშია. ის კრება, რომელზედაც აირჩიეს კომისია, იყო არა სათვისტომოს კრება, არამედ **კერძო**. ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ... მაგრამ არ მიკვირს რათ დაგჭირდათ ფაქტის გადამახინჯება. ყველა ამეების შემდეგ გაიძახით: უნუგეშო და დამაფიქრებელია ჩვენი სტუდენტობის უმეტესობის დღევანდელი მდგომარეობაო. გეთანხმებით, მართალი ხართ. თქვენის აზრით, ბ. შხ—ლო, სათვისტომოს შეეძლო ჭორები სათავეშივე მოესპო და განხეთქილებაც აეცდინა, მაგრამ ეს ასე არ მოხდაო. მე კარგათ მახსოვს ის კრება, რომელზედაც სათვისტომოს წევრები მოითხოვდენ, რომ სათვისტომოში არ უნდა ჰქონდეს ალაგი ასეთ **კერძო** კითხვას. სათვისტომოს მისწრაფებანი, როგორც კულტურულ-ეკონომიურ ორგანიზაციისა, სულ სხვაა. **ჯგუფმა** კი დაჟინებით მოითხოვა გარჩევა ამ ინციდენტისა სათვისტომოში და თავის სულ-წასულობის მეოხებით ბოლომდის ვერ მიიყვანა. სწორედ იმ **დროს, როცა** სათვისტომოს უნდოდა კონკრეტიულად დაესვა საკითხი და გამოეტანა თავისი შეხედულება, ერთმა მათგანმა, ბოლმა მორეულმა ყოვლად დაუსაბუთებელი სიტყვა წარმოსთქვა და გავიდა სათვისტომოდან. მას **გამოუდგენ უკან** სხვებიც. ჩაუკვირდით ამ უტაქტიკობას და გაიხსენეთ სათვისტომოს მიზნები. რატომ ხელი არ შეუწყვეთ საქმის გამოძიებას? **ჯგუფის** ყურადღებას მივაქცევ სათვისტომოს რეზოლიუციის მე-5 პუნქტის იმ ალაგს, სადაც ნათქვამია: „...—სათვისტომო თხოულობს გასულ ჯგუფისაგან თავის გასვლის წერილობით დასაბუთებას და სხვ...“ დასასრულ, არ შემიძლია ბ. შხ—ლს არ ვურჩიო შემდეგი: ფაქტებს ნუ ამახინჯებთ იმ შემთხვევაშიაც, თუ ეს გიადვილებთ მიზნის მიღწევას, ვინაიდან ასეთი დამახინჯება გამომჟღავნდება, თუ ამას მოინდომებს მოწინააღმდეგე და **იშოვის ამისთვის დროს.**

**დუტუძე.**

*) ეს წერილი „აზ. გზის“ რედაქციამ არ დაბეჭდა: ამ საკითხზე გამათავ მოუსპია.. **დ.**

# „პრიკაზის“ სოფლელ მოვალეთა საყურადღებოდ
(წერილი რედაქციის მიმართ)

თავად-აზნაურობის მორიგმა კრებამ იშუამდგომლა ნამესტნიკისა და ფინანსთა მინისტრის წინაშე და დანიშნა ცალკე კომისია სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლებისა აქაურ სახელმწიფო ბანკის გამგის კამერგერის ბეზობრაზოვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს, რა მდგომარეობაშია დღეს ოდესღაც „პრიკაზ“-ში დაგირავებული სოფლის მამულები და მოაწყოს-რიგოს ამ გირაობის საქმე. ბ-ნ ბეზობრაზოვის კომისიას უკვე რამდენიმე კრება ჰქონდა და ცნობაში მოიყვანა სიები სოფლის დაგირავებულ მამულებისა 1837 წლიდან დაწყებული, ამ დღეებში კომისია ამ ძველ სიებს და მამულების აღწერას დაუგზავნის სამაზრო კომისიებს, რომელიც ადგილობრივ დაიწყებს მუშაობას.

სამაზრო კომისიაში თავმჯდომარედ იქნება გადასახადების ინსპექტორი, წევრებად—მომრიგებელი შუა-კაცი, აგენტი მიწათ-მოწყობისა და მიწათმოქმედების გამგეობისა და წარმომადგენელი თავად-აზნაურობისა.

ამ კომისიამ ადგილობრივ უნდა გაითვალისწინოს და გაარკვიოს ძველ აღწერათა მიხედვით, რა იყო დაგირავებული „პრიკაზში“, ცნობაში მოიყვანოს დღევანდელი მდგომარეობა ამ გირაოებისა, თუ რა შემოსავალი შემოაქვს, რა ჰღირს, რაოდენად არის დავალიანებული და სხვ.

შემდეგ სამაზრო კომისიების ნამუშევარი და გამონარკვევი წარედგინება ბ-ნ ბეზობრაზოვის საგუბერნიო კომისიას, რომელიც თავის აზრს გამოსთქვამს ამა თუ იმ გირაოს შესახებ. შემდეგ კი, უნდა ვიფიქროთ, შუამდგომლობა იქნება აღძრული ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ეს გირაოები „პრიკაზისა“ გადაეცეს ტფილისის სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკს და იმან განაგოს მათი საქმე თანახმად თავის წესდებისა.

რაკი საგულებელია, რომ ეს ასე იქმნება, მეტად არ მიგვაჩნია გავაფრთხილოთ ისინი, ვინც ამისთანა საქმეშია ჩაბმული, მიჰმართონ ბ-ნთ გადასახადების ინსპექტორებს და იმათგან შეიტყონ, როდის შეუდგება სამაზრო კომისია მუშაობას, ძველ სიაღწერათა განხილვას და დაგირავებულ მამულების შეფასებას და თვითვე იზრუნონ, რომ დანამდვილებით, ზედ-მიწევნით იქმნას გამორკვეული ძველი აღწერანი, მიჯნები სახნავ-სათიბისა და ტყე-მინდვრისა და ისიც, თუ რა შემოაქვს დღეს იმ მამულებსა.

**თ. დიმ. ერ—ძე ჩოლოყაშვილი.**

# უცხოეთი

**ქალთა უნივერსიტეტი იაპონიაში**

იაპონიაში სახალხო განათლების საქმე საზოგადოთ კარგად არის დაყენებული, მაგრამ მეტად საყურადღებოა ქალთა უნივერსიტეტი ტოკიოში. ეს უნივერსიტეტი ბევრად განსხვავდება ევროპის ქალთა უმაღლეს სასწავლებელთაგან. სკოლა შესისხლხორცებულია ცხოვრებასთან, იაპონიის ხალხის სოციალურ ვითარებასთან. იაპონელების შეხედულებით ქალები კარგი მეუღლე და დედები უნდა იყვნენ. ამიტომაცაა, რომ უმაღლეს სასწავლებელიც, საშუალოთა და სახალხო დაბა-

ლი სკოლაც მიმართულია ისე, რომ ქალები ოჯახისათვის, ცხოვრებისათვის მოამზადონ. კარგი დედები და აღმზრდელები გამოიყვანონ. ჯერ ისევ 1885 წელში დაიბადა აზრი ქალთა უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ქველ-მოქმედთა უხვ შეწირულების გამო განახორციელდეს აზრი. 1901 წელში დაარსდა ტოკიოში ქალთა უნივერსიტეტი, სადაც 300 სტუდენტი ქალი სწავლობს. უნივერსიტეტთანვე გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები, ისეთივე როგორიც ახლა რუსეთშია—600 მსმენელისთვის უნივერსიტეტში 80 პროფესორია, შესანახი ფული კერძო შემოწირულებით გროვდება. თვით მიკადოს ცოლი ერთ უხვ შემოწირველთაგანია.

ქალთა უნივერსიტეტი ისევე მოწყობილი, როგორც ვაჟთა უნივერსიტეტები — 3 წლის კურსით. უნივერსიტეტთან მოწყობილია საბავშვო ბაღი და ქალთა პირველ დაწყებითი სკოლა. ორივე ეს უკანასკნელი დაწესებულება სტუდენტ ქალების პრაქტიკულ მუშაობისათვის არის დანიშნული. ვისაც საპედაგოგიო ასპარეზზე სურს მოღვაწეობა, ამ სახალხო სკოლაში და ბაღში პრაქტიკულად მოღვაწეობს. ქალთა კურსების პროგრამაში შედის კომერციულ მეცნიერებათა შესწავლა და აგრეთვე შესწავლა ყველა იმისა, რაც სამშობლო ქვეყნის მრეწველობას შეეხება, მაგრამ უნივერსიტეტში უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი აქვს ქალების კარგ აღმზრდელ დედებად მოამზადებს. ასწავლიან ლიტერატურას, საპედაგოგიო საგნებს, ფიზიკას, ფიზიკურ აღზრდას, მუსიკას. ხელოვნებას, ხელსაქმეს და ყველაფერს, რაც ეხება სახლის მეოჯახეობას, მზარეულობასაც, ჩაის გაკეთების ცერემონიალსაც, რომელსაც იაპონიის ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასწავლიან შვედურ გიმნასტიკის, სხვა და სხვა სათამაშოებსა და გასართობებს.

ასეთი სისტემა აღზრდისა მეტად ხელს უწყობს ქალებს მოხელეებად კი არ გახდენ, არამედ პირველ ყოვლისა კარგი დედები და მეოჯახეები იყვნენ.

**მუშათა გაფიცვა პარიზში.**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ამას წინად გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, რომელსაც სისხლის ღვრა მოჰყვა. ფრანგული გაზეთები დაწვრილებით აწერენ ამ ამბავს. „შრომის საყოველთაო კონფედერაციის" მანიფესტაცია გაუმართავს გარდაცვალებულ მუშის ჰენრი კლერის დამარხვის დროს. ეს მუშა გარდაიცვალა ჭრილობით, რომელიც მიიღო პოლიციელისაგან, ავეჯეულების მუშათა გაფიცვის დროს. „შრომის კონფედერაციის" მოწოდებით გარდაცვალებულ მუშის პატივსაცემლად შეიკრიბა 10.000 მუშა. კუბოს ამკობდა წითელ უკვავილებისაგან შეკონილი გვირგვინი, რომელსაც ეწერა: „სოციალურ წყობილების მსხვერპლს". პროცესიაში უმთავრესად მონაწილეობას იღებდა „რევოლიუციონურ ახალგაზდების" ორგანიზაცია. გაუმართა თუ არა პროტესტანტების სასაფლაოსაკენ, სადაც უნდა შეესარებინათ მიცვალებული მუშის გვამი, მოხდა შეტაკება პოლიციასა და მუშებს შორის. პოლიციის აგენტების დანახვაზე აღშფოთებული მუშები უყვიროდენ: „ჯალათები". მაგრამ უფრო დიდი შეტაკება მოხდა, როდესაც მუშის გვამი მიაბარეს მიწას და პროცესია უკან ბრუნდებოდა. პროცესიის ხელმძღვანელნი ურჩევდნენ „რევოლიუციონურ ახალგაზდობის" ორგანიზაციას დაშლილიყვნენ და დაბრუნებისას სხვა გზით წასულიყვნენ უკან. მაგრამ, „რევოლიუციონური ახალგაზდობა" არ დაეთანხმა და იმავ გზით დაბრუნდა უკან, დროშების ფრიალით. ხიდთან მათ წინ დახვდა პოლიციელთა და ცხენოსან დრაგუნთა რაზმი. პოლიციამ ნიშანი მისცა მუშებს დაშლილიყვნენ. ჯარიც და პოლიციაც გაშიშვლებულ ხმლებით შეეტივნენ მანიფესტანტებს. მანიფესტანტებიდანაც რამდენჯერმე გავარდა რევოლვერი. პოლიციამ დასჭრა და მიჰფანტ-მოჰფანტა მუშები. ერთა ნაწილი კი ხიდის ყურზე დადგა და ქვები დაუშინა მტერს. ნახევარ საათის შემდეგ ეს მუშებიც დაამარცხა პოლიციამ და ჯარმა. დაშავებულთა რიცხვი არაა გამორკვეული. ბევრი დაშავებული არ აცხადებს, რომ დაშავებულია, ეშინიან პასუხის მგებლობას. გამორკვეულია ჯერ, რომ დაშავდა მუშათაგან 100 კაცი, პოლიციელთაგან 27, ამათგან 12 მძიმედ არის დაშავებული.

**ეროვნული უთანხმოება ავსტრიის სოციალ-დემოკრატებში.**

ეროვნულ საკითხის შესახებ ავსტრიის სოციალ-დემოკრატთა შორის მოხდა უთანხმოება. ტომით გერმანელი სოციალ-დემოკრატი ადლერი ბევრი და ზეეცი, იტალიელი და პოლონელი სოციალისტები წინააღუდგენ ჩეხელ რადიკალის სტონეკის მიერ პარლამენტში შეტანილ წინადადებას. სტონეკი თხოულობდა ვენაში არსებულ ჩეხების სკოლისათვის დახმარების მიცემას. გერმანელმა, იტალიელმა და პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი არ დაუჭირეს ჩეხელ დეპუტატის წინადადებას, რის გამოც ჩეხელმა სოციალდემოკრატებმა საყვედური გამოუცხადეს თავის გერმანელ და სხვა ამხანაგებს—ოპორტიუნიზმი უწოდეს მათ საქციელს.

ჩეხელ სოციალ დემოკრატების კლუბმა ამ საკითხის გამო მსჯელობა იქონია და გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ გერმანელმა სოციალისტებმა დაარღვიეს ეროვნულ საკითხის სამართლიანი მოთხოვნილებანი. პოლონელმა ბურჟუებმა მეტი სამართლიანობა გამოიჩინეს, როდესაც მხარი დაუჭირეს ჩეხელთა სკოლის სუბსიდიას, ვიდრე პოლონელ სოციალისტებმაო.

გერმანელ მუშათა ორგანომ Arbeiter Zeitung-მა გაჰკიცხა ჩეხელ ამხანაგთა რეზოლიუცია. ამისათვის გერმანელ ბურჟუათა ორგანოების მადლობა კი დაიმსახურა. ბურჟუების ორგანო სწერდა, რომ გერმანელი სოციალ-დემოკრატები და მათი ლიდერი ადლერი თავს აღწევენ ჩეხელთა ძალდ ტანებას, ჩეხელ სოციალ-დემოკრატები ლიდერის ხემეცის დიქტატორობას თავს აღწევენო.

„ფრანკფ. ცაიტ." კი ამბობს, თუ სოციალ-დემოკრატთა თვალსაზრისით სამწუხარო მოვლენაა ჩეხელ და გერმანელ სოციალ-დემოკრატების უთანხმოება, სამაგიეროდ საერთო პოლიტიკის მხრივ კი სამწუხარო არაფერია—ყველა პარტიისთვის აშკარაა, რომ ჩეხელ-გერმანელთა დავა მთავარი პრობლემაა ავსტრიის შინაურ პოლიტიკისა, არავის არ შეუძლიან მხარი აუქციოს შინაურ ცხოვრების ნამდვილ ფითარებას.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** შესაფერ ადგილის უქონლობისა გამო ზაფხულობით ქუთაისში თეატრის საქმე სუსტად ჰგრძნობს თავს. საზამთრო თეატრში წარმოდგენების მართვა ამ სიცხე-პაპანაქებაში მეტად ძნელია როგორც მოთამაშეთათვის ისე მაყურებლებისათვის და ამიტომაც ორივე მხარე ზანტად ეკიდება საქმეს. მოთამაშენი კიდევ ჰო, ხშირად სძლევენ ხოლმე ამ დაბრკოლებას და დააპირებენ წარმოდგენის გამართვას, მაგრამ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო—შინაურებზედ გულ-ნაჯერი საზოგადოება, მაგრე რიგად აღარ აწუხებს თავს როგორც ყველანი, ქუთათურებიც მუდამ ელტვიან და ეტრფიან ახალს, უცხოს, არა ჩვეულებრივს.

ასეთ უცხოდ და იშვიათ მოვლენად მიიჩნია მან ა. ლ. პასხალოვის პაწია დასი და მისი წარმოდგენები ამ დღეებში. ეს დასი სულ 6—7 ადამიანისაგან შემდგარი, და ისიც მხოლოდ ორი მსახიობი ქ-ნი ჩაიკოვსკაია და ბ-ნი პასხალოვის პირველ ხარისხოვანობით, რადგანაც დანარჩენნი ჩვეულებრივ უბრალო მოთამაშეთაგან არ განირჩევიან, აი სწორედ ეს მცირედი და ძალებით სუსტი დასი ახდენს იმას, რაც ხშირად უფრო ძალიერსა და ღონიერს ვერ მოუხერხებია. ამისი მიზეზი არის ის წესი, ის ერთსულოვნება რაიცა დასს ასულდგმულებს. აქ არ არის უმფროს უნცროსი, ე. ი. უმცროსი მბრძანებელი და უმცროსი ალმსრულებელი. აქ არის უფროსი საქმის მცოდნე და ყველა მისი ხელქვეითი მეგობრები თანამშრომელნი თანამოაზრენი. ერთადაა განაწილებული შავი და თეთრი საქმე, სცენის მოწყობა, გრიმის გაკეთება, როლების განაწილება. სცენაა მათთვის საერთო ოჯახი, რომლითაც თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ ყველა წევრები. ჩვენ შემთხვევა გვქონდა პირადად გვესაუბრნა ბ ნ პასხალოვთან. მსახიობის გარდა, იგი ცნობილია როგორც მწერლობაში, აგრეთვე პოლიტიკაში. მეტად მოსწრებული და ნიჭიერი მოლაპარაკე, საქმის უზომო მოსიყვარულე და მასთან როგორც ადამიანი ყველაფრის მნახველი და გამოცდილი, თავმდაბალი და შეიძლება გულკეთილიც.

თუ დააკვირდებით ოდნავ მოთამაშეთა ქცევას ერთი-ერთმანეთთან, თქვენ მიხვდებით თუ რას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს ანსამბლს მუდამ და ყველგან ითანაგრძნობით ეგებება საზოგადოება. ეს არის საერთოდ საქმის სიყვარული და შეგნება თავისი მოვალეობისა. პეთხრა პასხალოვმა.

ნება ჩომეცით ვკითხოთ, შევეკითხე მე—როგორა გაქვთ დაყენებული შემოსავალ-გასავლის საქმე.

თანასწორად, თანხმად,—კომმუნალურ წესზედ. ყველაფერი საერთოა, როგორც ნაყოფი საერთო მუშაობისა.

რაოდენი გულწრფელობა, იმედი და სიყვარული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ესეთ საქმეს სული ჩაჰბეროს და ხორცი შეასხას.

დასის რეპერტუარი მრავალფეროვანია. მძიმე—საშინელი დრამები, ფარს-კომედიები, შარჟები და რაც უფრო საინტერეო მიმაჩნია ამას ზედ დაურთეს „კაბარე". თვით „კაბარემ" ეხლა შესრულებულმა ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა, მხოლოდ იდეია ჩვენ მოსაწონად მიგვაჩნია. „კაბარე" იგივე დივერტისმენტის მაგვარი ლისცენაა იმ განსხვავებით, რომ მოთამაშეთა გარდა სცენაზედ გადის და მონაწილეობას იღებს თვით მაყურებელ საზოგადოება. ვისაც სურს ასეთი „კაბარე" ან ყავახანები, როგორც ბ-ნმა პასხალოვმა გადმოგვცა, მრავალია პარიზში. ამგვარ სცენებზედ გამოდიან ხალხიდან: მომღერალნი, დამკვრელნი, მოლექსენი, ერთი სიტყვით, ვინც რას ეტრფის. დაკივნა გაქირდვა ამ შემთხვევაში უადგილოა, რადგანაც რაც უნდა სუსტად იქნეს შესრულებული ესა თუ ის ნომერი, ამსრულებელი მაინც მართალია თავისი რწმენის წინაშე, როგორც შეეძლო ისეც შეასრულა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ჩვენს საზოგადოებას უყვარს ყოველივე ახალი, რაიმე ორიგინალური. არა თუ სიჟამამე აკლია, და ამიტომ ვფიქრობთ „კაბარე" არც ურიგო გასართობი იქნება და არც ძნელად შესასრულებელი...

**ჯაფარ-ფაშა.**

—

**დ. ხონი.** კვირას, 20 თიბათვეს, აქ წარმოდგენების სეზონი დაიწყო. პირველად წარმოადგინეს დ. ერისთავის 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა „სამშობლო. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებდნენ, გარდა ადგილობრივი სცენის მოყვარეებისა, შემდეგნი პირნი: ქ-ნი თ. გოგოლაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ.ბ. ვ. შალიკაშვილი და ნ. გვარამძე. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა. კარგი იყო სვიმონ ლეონიძის როლში ვ. შალიკაშვილი, მეტად საუცხოვო ხმა ჰქონდა. დინჯი ლაპარაკით ის საზოგადოებას ხიბლავდა. კარგები იყვნენ აგრეთვე თ. გოგოლაშვილი ქეთევანის და ნ. გვარამძე—ლევან ხიმშიაშვილის როლში. განსაკუთრებით კარგი იყო ეს უკანასკნელი მეხუთე მოქმედების მეორე სურათში. სცენის მოყვარეებთა შორის არა უშავდათ-რა ა. ქუთათელაძეს და ნ. ცვიტაშვილს. სუსტობდა ილ. ა. რუხაძე შაჰის როლში, სუსტად ჩატარა ამასთანავე ბ მა №-მა გოგია დიაკვნის როლი. წარმოდგენის დაწყების წინ სათეატრო გამგეობის სახელით სიტყვა სთქვა ბ. პ. კიკალიშვილმა. მან აღნიშნა მნიშვნელობა საზოგადოთ თეატრისა, შეეხო თეატრის მოკლე ისტორიას და ხალხისაგან თანაგრძნობა ითხოვა, სიტყვა კიკალიშვილისა საკმაო შინაარსიანი იყო. წარმოდგენას რეჟისორობდა ვ. შალიკაშვილი. მორიგ გამგეთ კი იყო ეკ. ბახტაძისა. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება 26 და 27 თიბათვეს. პირველ დღეს წარმოდგენილ იქმნება „ხალხი", პლატონისა და მეორე დღეს კი „ისმინე ისრაელო".

19 ამა თვეს აფიშები გააკრეს და გვამცნეს, რომ 21 თიბათვეს მსახიობი გრ. ჩარკვიანი გამართავს წარმოდგენასო. მართლაც, 21-ს გამართულ იქმნა წარმოდგენა. ითამაშეს: „დედა და შვილი" ილ. ჭავჭავაძისა და „ბუტიობა" აკაკისა. იყო ეგრეთვე სიმღერები და ლექსების კითხვა. დრამა „დედა და შვილი" მათმა უხეიროთ შესრულებამ კომედიათ გადააქცია. არც ხმა უვარგოდათ არც ერთს, არც მიხვრა-მოხვრა და სხვა რამ. ქართული ლაპარაკიც კი არა სცოდნიათ. ლაპარაკს ვინა სჩივის, აფიშაც კი ვერ დაუწერიათ სწორი ქართული ენით? სხვათა შორის აფიშაში ეწერა: „ახალგაზრდა ბოვშები წაკითხავენ რამოდენიმე ქართულ ენაზე ლექსებსო" ამ წინადადებას ჩემი განმარტება არ ესაჭიროება. მათ თამაშის შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ყველა ერთმანეთზე უარესი იყო. წარმოდგენაში გრ. ჩარკვიანს მონაწილეობა არ მიუღია, და საზოგადოება ამ მხრითაც მოტყუებული დარჩა.

**აქილლესი.**

# ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ასაგებად

1) „ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო გიორგი მარგალიტაძისაგან ქალ. ფოთიდან 28 მ. 20 კ. შემომწირველთა სია: მღვდ. ლავრენტი წულაძისაგან 1 მ., მღვდ. დომენტი ქუტიძისაგან 1 მ., დეკ. ნესტორ ალშიბაიასაგან 2 მ., მღვდ. კონდრატი ჩაჩიბაიასაგან 2 მ., მღვდ. მაკოზ ჯორჯენაძისაგან 1 მ., მღ. ვარლამ კვირცხალიამ 1 მ. მღ. ბერიძესაგან 1 მ., მღ. ლუკა ხუნდაძისაგან 1 მ., მღ. ალექსანდრე ფარცხავასაგან 2 მ., მღვდ. გერასიმე ქირთასაგან 1 მ., ბლაღ. ევგენი ბენველიასაგან 1 მ., მღვდ. გიორგი გამსახურდიასაგან 1 მ., ბლ. დეკან. გიორგი ზერიძისაგან 1 მ., მღ. თომა მეგრელიძისაგან 1 მ, მღ. ვარლამ მახარაძისაგან 50 კ, მღ. ვ. ბარნაბი ჯორბენაძისაგან 1 მ., ვანო სუხაშვილისაგან 3 მ. 50 კ., გიგო გრიგოლაშვილისაგან 50 კ., თებრო გრიგოლაშვილისაგან 25 კ., კლიმენტი ჰანტურიასაგან 25 კ., მღვდ. თეოფანე ლომთათიძისაგან 50 კ., ივანე კალანდარაშვილისაგან 50 კ., მღ. ანტონ ფირცხალავასაგან 1 მ., ბართლომე ურიდიასაგან 50 კ., ნესტორ კვაჯანტირასაგან 25 კ., ვლ. ჯუღელისაგან 20 კ., გიორგი თონაძისაგან 50 კ., იპოლიტე გაგუასაგან 25 კ., ბლაღ. ყარამან რამიშვილისაგან 50 კ., გიორგი მარგალიტაძესაგან 1 მ.

2) „ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო მასწ. სალომე ხიმშიაშვილისაგან სოფ. კასპიდან 10 მ. შემომწირველთა სია: ნინა საიგანოვისაგან 50 კ., შალიკო გუგუტაშვილისაგან 20 კ., უცნობისაგან 1 მ., გ. ჩიქოვანისაგან 50 კ., გიორგი ივანისძე ქარუმიძისაგან 50 კ., ანეტა კოტეტიშვილისაგან 50 კ., გ. ბაბალოვისაგან 50 კ., ე. პ. კ. 50 კ., ეკატერინე პარკაძისაგან 50 კ., ალექსანდრე ფილავანდოვისაგან 50 კ., ნატალია ტურიევისაგან 1 მან. პ. დიდებულიძისაგან 50 კ., იოსები ისკანდაროვისაგან 1 მ., დ. ამილახვრისაგან 1 მ. ოსიფ-ყამბინისაგან 1 მ., პავლე ჭელიძესაგან 30 კ.

3) „ჯეჯილის" რედ. მიიღო კიდევ ზედამ. ჩიბათის სკოლ. მაკარ ჯორბენაძისაგან 7 მ. 30 კ., შემომწირველთა სია: მასწ. მ. ჯორჯაძემ 1 მ., ს. ლომაძისაგან 85 კ., პ. იმნაძე 60 კ., ალ. მეძმარიაშვილისაგან 50 კ., ა. ხიმშიაშვილისაგან 50 კ., კ. მიქელაძისაგან 50 კ., მღვ. ბ ჯორბენაძისაგან 50 კ., პ. ჭყონიასაგან 40 კ., ლ. ჩხაიძისაგან 25 კ., ბ. სურგულაძისაგან 20 კ., ნ. კუკულაძისაგან 20 კ.

4) „ჯეჯილის" რედ. მიიღო პ. ძღენტისაგან დაბ. ბარცხონში მუშებთა შორის შეგროვილი 4 მ., შემომწირველთა სი.: პ. ძღენტი 50 კ., ივანე მგელაძე 50 კ., ვარლამ გოცირიძე 20 კ., იონ ქაჯაია 15 კ., ლავრენტი ქიქვაძე 50 კ., მ. ძღენტი 20 კ., კოწია წულაძისაგან 20 კ., კოწია კალანდაძესაგან 50 კ., ალ. გორგაძისაგან 20 კ., არსენ ქინქლაძისაგან 50 კ., სერგეი გოჩიბელაძისაგან 20 კ., დათიკო კალანდაძისაგან 35 კ.

5) „ჯეჯილის" რედ. მიიღო ნოე ალ. ძღენტისაგან 2 მ. 75 კ., ქალ. ფოთიდან. შემომწირველთა სია: ჯოკელიძისაგან 50 კ., მიხეილ ბ. ესაკიასაგან 1 მ., მაქსიმ ვერას. უნგიაძისაგან 50 კ., ეფინე თედორ. ჩიჩავაძისაგან 1 მ. სულ 52 25. კ. იყო 2543 მ. 71 კ., შედგა 2595 მ. 46 კ.


# განცხადებანი




Метцль и К. N 187602. (10—6.—5)

**ონანიზმი** მოხდევს დამლა, ჭკუიდან შემლა, უდროოდ სიკვდილი. ახალ წიგნში **„ახალ თაობის სენში"** ნაჩვენებია საუკეთესო დარიგებანი: როგორ უნდა დაიფაროს ადამიანმა თავი დაცარულ ავადმყოფობათა მავნებელ მედეგებისაგან. საუკეთესო საშუალება სქესობრივ ძლიერებისა, სუსუნატისა და ათამანის წინააღმდეგ. ფასი გაგზავნით 1 მ. 25 კ. (მარკებით) ღას დადებით 1 მ. 50 კ. იგზავნება დაუყონებლივ, ს. პეტერბურგი ნევსკი პრ. № 108, ამხ. „დ ს ნ ლ ვ ა". (4—6.—4)

**ქართული სამკურნალო ტერმინები**
წინასიტყვაობით
სყიდება: —„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და იოს. მერკვილ. ძის წიგნის მაღაზიაში.
**ფასი 20 კაპ.**
(5—317—5)

**მებრეშუმეებს ლოჟის**
ფირმისაგან ბრეშუმის თესლების დაკვეთის სეზონი ახლოა, რადგანაც ეხლა მზადდება ფაბრიკაში თესლები, ამიტომ გაუწყებთ ჩემს თანამშრომლებს (და მას, ვისაც ამ თესლების გავრცელება სურს), რომ დაუყოვნებლივ შემოიტანოთ თავის რაიონისთვის საჭირო დაკვეთა, უამისოდ მე თესლებს არ გამოვიწერ.
ფარცხნაყანევის, ზემო-ქვიტარის, მალლაკის, საჩინოს, ბაღდათის, სვირის, თერჯოლის, საჩხერის, ჩხარის, სენაკის, ნაღალეევის და სხვა საზოგადოებებში მსურს აგენტურის მოწყობა თუ შესაფერი კაცები, საიმედო პირობებში იკისრებენ საქმის წარმოებას.
პირობების გასაგებათ მიმართეთ შემდეგი ადრესით: იოსებ კაკაბაძეს, ქუთაისში.
**ი. კაკაბაძე**
(6—6.—2)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., შებ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—126)

**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დილით:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგაბაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**საღამოთი:**
**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. გ. გევესკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**შემთხვევით იყიდება**
ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არაპიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS.
**კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯვეატერისა**
ამერიკაში
**ა ჳ ვ დ ი ს**
ყოველ-გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებელს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობა ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.
ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში
სავაჭრო სახლი **ძმ. სტეპპუნები** ბაქოში
განყოფილებანი: მერვა, კოკანდსა, წარმომადგენლები: ტაშკენტსა, ბაგრუმსა (სპარსეთი). ადმინ. **პოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო სახ. **ე. გ. პისერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—8)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
**„რ ო ზ ა"**
(„ვარდი")
ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.
საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—33)